ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 46

ერთის მხრივ, ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლეილა ბენდელიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „ედვენსი'' (შემდგომში - მიმწოდებლი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბი ჩაჩანიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 განათებული ნიშნები და სახელისწარწერიანი ფირფიტები (CPV- კოდი: 315 23000) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

№	დასახელება	განზ	რაოდენობა	ერთ.ღირ	მთ.ღირ	CPV კოდი
1	**მანათობელი აბრა წარწერით „კულტურის სახლი"** (მოცულობითი ასოები + ლითონის კონსტრუქცია + ალუმინის კომპოზიტური პანელი 580*60სმ)	ცალი	1	4350.00	4350.00	315 23300
	ჯამი:				4350.00	

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4350(ოთხი ათას სამას ორმოცდაათი) ლარს და 00 თეთრს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება- ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება- ჩაბარების აქტზე შესყიდველისა და მიმწოდებლის მიერ ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია:

- ქ. გარდაბანი. დ. აღმაშენებლის ქ. №70.გარდაბნის კუტურის სახლი

5. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საქონელის მიაწოდოს იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2. პუნქტში.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია თანადროულად და წერილობით აცნობოს შემსყიდველს მომსახურების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხების შესახებ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას ან ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრებლობის ყოველ გადაცდენილ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

6.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

6.4 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფოს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრებლობა ან დაღვევა და არ გამოწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალიწინებული შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

7.4 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორემ მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წინასწარ წერილობით ან/და კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 5 კალენდარული დღით ადრე.

7.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელისმოწერისთანავე და ძალაშია 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში , დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დასკვნითი დებულებები

10.1 ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

შემსყიდველი

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი
მის:ქ.გარდაბანი.დ.აღმაშენებლის ქ. #70
საიდენტიფიკაციო კოდი :426536091
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGEE22
ანგარიში/სახაზინო კოდი
ცენტრის დირექტორი: ლეილა ბენდელიანი

NNLE Gardabani Municipality Culture and Art Center

Digitally signed by NNLE Gardabani Municipality Culture and Art Center
Date: 2022.05.18 12:17:01 +04'00'

მიმწოდებელი

შპს „ედვენსი“
მისამართი: ქ.რუსთავი. მეგობრობის 31მ/ტ
საიდენტიფიკაციო კოდი: 416330447
ბ/კ TBCBGE22
მ/ ბ ს.ს “თი ბი სი ბანკი“
ა/ნ GE 79 TB 7931 7360 8010 0005

დირექტორი: ზურაბი ჩაჩანიძე